ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 582

“ 4 ” ნოემბერი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი 11ა-ში მდებარე 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.12.01.004.037) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ. 400160053) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ 122^1 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი 11ა-ში მდებარე 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.12.01.004.037) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ. 400160053) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 ნოემბრის №22.1673.1799 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი11ა-ში მდებარე 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.12.01.004.037) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ. 400160053) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე